ხაშურის მოამბე

№11 (192) 18 მარტი, ორშაბათი, 2019 წელი

2019 წლის 11 მარტი - ხაშურის სპორტის ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო

2019 წლის 11 მარტი - ეს თარიღი ჩვენი მუნიციპალიტეტის ისტორიაში მართლაც საპატიო ადგილს დაიკავებს. ჩვენი სპორტის ისტორიაში კი, თამამად შეიძლება ითქვას, ახალი ეპოქის დასაწყისად იქცევა. ის, რაზეც, გასული საუკუნის 20-იანი წლებიდან, თაობები ოცნებობდნენ, ასრულდა - ხაშურში

ამიერიდან ისეთი სასპორტო კომპლექსი იფუნქციონირებს, მტერს რომ თვალს მოჭრის და მოყვარეს გაახარებს. ხაშურის სპორტი კი ნამდვილად იმსახურებდა ასეთ კომპლექსს.

ვიდრე, უშუალოდ, აღნიშნული სასპორტო კომპლექსის გახსნის შესახებ ვისაუბრებთ, ჩვენს მკითხველს კიდევ ერთხელ გვინდა შევახსენოთ ისტორია, რომელიც ჩვენს სპორტს შეეხება და რომელიც სათავეს გასული საუკუნის დასაწყისიდან იღებს. ცნობილი ფაქტია, რომ მე-20 საუკუნის დასაწყისში, ხაშურში, დღევანდელი VII საჯარო სკოლის ტერიტორიაზე, შოტლანდიელთა გარნიზონი იდგა. სწორედ მათი ინიციატივით მოხდა და 1902 წელს, მათ გუნდსა და ხაშურელ ფეხბურთელებს შორის საფეხბურთო მატჩი გაიმართა. ეს მატჩი, არა მარტო ხაშურის, არამედ მთელი ქვეყნის მასშტაბითაა პირველი საერთაშორისო შეხვედრა. სამწუხაროდ,, ბევრი კვლევისა და ძიების მიუხედავად, დოკუმენტი ამ მატჩის შესახებ არ მოიპოვება, თუმცა ამ წერილის ავტორი, 70-იან წლებში, პირადად შეხვედრია თვითმხილველებს და ჩანაწერებიც არსებობს. 20-იანი წლებიდან კი იწყება სპორტის სხვადასხვა სახეობების განვითარება. 1925 წელს ხაშურში და სურამში უკვე ფეხბურთის გუნდები არსებობენ. 30-იანი წლებიდან არის ტანვარჯიშის და მძლეოსნობის სექციები. დიახ, საუკუნის ისტორია აქვს ჩვენს სპორტს და მიუხედავად იმ პირობებისა, რომელიც ძალიან შორს იყო თუნდაც ნორმალური პირობებისგან, მიღწევები ისეთი გვაქვს, რომ ევროპის რომელიმე ქალაქს კი არა, ქვეყანასაც კი შეშურდ-

ება. წარმოიდგინეთ, ჩვენ გვყავს ოლიმპიადის ვერცხლის პრიზიორი, მსოფლიო და ევროპის ჩემპიონები, მრავალი საერთაშორისო ტურნირის გამარჯვებულები. ყოფილი საკავშირო და სხვადასხვა სპორტული საზოგადოების ჩემპიონები კი ათეულობითაა. და ეს ხდება, ევროპული მასშტაბით, ასეთ პატარა ქალაქში, როგორიც ხაშურია. ზემოთ პირობები ვახსენე და ერთი ისტორია უნდა მოგითხროთ: ჩვენი ლეგენდარული მოჭიდავე რამაზ ხარშილაძე იხსენებდა, საფრანგეთში ყოფილან და ლიონში ის დარბაზი დაუთვალიერებიათ, სადაც ძიუდოისტები ვარჯიშობდნენ. გადაირეოდი კაცი, ისეთი პირობები ჰქონდათო. შემდეგ, ერთ-ერთ მასპინძელს საუბარში უთქვამს, არაუშავს ამ დარბაზს, მაგრამ, დარწმუნებული ვარ, ალბათ, ახლოსაც ვერ მივა იმ დარბაზთან, სადაც თქვენ გაიზარდეთ და ასეთ შედეგებს მიაღწიეთო. ახლა, იმისთვის რომ მეთქვა, - იცინოდა ბატონი, - რამაზი, რომ სოფელში, შუა მინდორში, ნახერხი ეყარა და იქ ვიზრდებოდი, როგორც მოჭიდავე, არც დაიჯერებდა, ამიტომაც თავი მოვიწონე და ვუთხარი: - კი, ჩვენი ოდნავ უკეთესიაო...

დავუბრუნდეთ სასპორტო კომპლექსს. მისი მშენებლობა ჯერ კიდევ 2012 წელს, ახალი ხელისუფლების მოსვლისას გაჟღერდა. დღევანდელ მერს, ბატონ გიორგი გურასპაშვილს კი პირდაპირ საარჩევნო პროგრამაში ჰქონდა აღნიშნული. სიმართლე გითხრათ, ბევრი ასეთი პროგრამა მომისმენია, რომელიც შემდეგ ჰაერზე დარჩენილა და ვიტყვი სიმართლეს, მეც სკეპტიკურად ვიყავი განწყობილი ამ დაპირების მიმართ. თუმცა, მან პირობა შეასრულა და აგერ შედეგიც დადგა. ისიც ვიცით, რომ ამ შედეგამდე მას ურთულესი გზის გავლა მოუწია. არ დარჩენილა უწყება თუ სამინისტრო, სადაც მას ამ თემაზე არ

ჰქონდა საუბარი. ნელ-ნელა მოიპოვა მხარდაჭერა, რაც მთავარია, ფინანსების გამოყოფაც მოხერხდა. შედეგი კი მართლაც საოცარი მივიღეთ - ჩვენი ქვეყნის დიდ ქალაქებს თუ არ ჩავთვლით, ვეჭვობ, რომელიმე მუნიციპალიტეტს ასეთი სასპორტო კომპლექსი გააჩნდეს. მეტიც, ესაა, დღევანდელი ტერმინოლოგიით რომ ვთქვათ, წმინდა ევროპული დონის კომპლექსი, რომლის ინფრასტრუქტურა მთლიანად პასუხობს უმაღლეს მოთხოვნებს. შესასვლელიდანვე იწყება „თვალის ზეიმი“. ულამაზესი ეზო, საფეხბურთო მოედანი და ჩოგბურთის კორტი პირველი „მასპინძლები“ არიან. უშუალოდ კომპლექსში კი, თუ გიდი, ან იქა-

ურობაში გარკვეული პიროვნება არ გახლავთ, პირდაპირ დაიკარგები. ერთმანეთს ენაცვლება დარბაზები, რომლებიც სპორტის სხვადასხვა სახეობებში სავარჯიშოდაა განკუთვნილი. აქვეა ფიტნესკლუბი, ორმოც კაცზე გათვლილი სასტუმრო, ადმინისტრაციის და მომსახურე პერსონალის კაბინეტ-ოთახები, ყველა სპორტსმენისთვის დამოუკიდებელი საშხაპეები – მუდმივი თბილი წყლით და გათბობის იდეალური სისტემა. ამ ყველაფერს კი აგვირგვინებს ცენტრალ-

(დასასრული II გვერდზე)

ური დარბაზი, სადაც კალათბურთის ნებისმიერი რანგის ტურნირის ჩატარებაა

(დასასრული)

2019 წლის 11 მარტი - ხაშურის სპორტის ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო

შესაძლებელი.

რაც მთავარია, ბავშვები, რომლებიც სპორტის 12 სახეობაში დაოსტატდებიან, აქ სრულიად უფასოდ ივარჯიშებენ. მთლიან დაფინანსებას მერია უზრუნველყოფს, ასევე დაფინანსდება ბავშვების სხვადასხვა ტურნირებზე გასამგზავრებელი ხარჯებიც. დამერწმუნებით, რომ მართლაც დიდი მიღწევაა.

დღეისათვის ჩვენს სასპორტო სკოლაში 1500-მდე მოზარდია ჩაბმული სპორტის სხვადასხვა სახეობაში და მათ მშობლებს არ მოუწევთ იმაზე ფიქრი, თუ როგორ გამონახონ თანხები შვილების სპორტში ჩაბმისთვის. ამიტომაც გვინდა, მადლობა ვუთხრათ ამ ყველაფრისთვის მუნიციპალიტეტის მერიას, შიდა ქართლის ადმინისტრაციას, ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტროს, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის სამინისტროს, მთლიანად ქვეყნის მთავრობას, რომელთა მხარდაჭერის თუ უშუალო ჩარევის გარეშე ეს პროექტი არ განხორციელდებოდა.

სასპორტო სკოლის გახსნა კი მართლაც ულამაზესი გამოვიდა. სხვადასხვა სამინისტროების წარმომადგენლები, ლეგენდარული სპორტსმენები, ოლიმპიური ჩემპიონები, მეზობელი მუნიციპალიტეტის ხელმძღვანელი პირები აღფრთოვანებას ვერ მალავდნენ ამ პროექტით. მათ კი უერთდებოდნენ რიგითი ხაშურლები.

- **გიორგი გურასპაშვილი**, მუნიციპალიტეტის მერი: ვულოცავ თითოეულ ხაშურელს ამ დღეს. ჩვენმა ქალაქმა, მისმა წარსულმა, სპორტსმენებმა თუ თითოეულმა ჩვენმა თანამოქალაქემ დაიმსახურა, რომ ასეთი სასპორტო კომპლექსი ჰქონოდათ. დიდი შრომა და ენერგია დავხარჯეთ, რომ ეს პროექტი განხორციელებულიყო და მიხარია, რომ ასეთი შედეგი მივიღეთ. კიდევ ერთხელ ვულოცავ ყველას...

- **გიორგი ხოჯევანიშვილი**, შიდა ქართლის გუბერნატორი; - წარმოუდგენლად ლამაზია ყველაფერი. ქვეყნის მთავრობისათვის უპირველესი პრიორიტეტია მუნიციპალიტეტების განვითარება. ეს კომპლექსი კი ამის ერთ-ერთი ნათელი დადასტურებაა...

- **შალვა გოგოლაძე**, განათლების, მეცნიერების, კულტურისა და სპორტის მინისტრის მოადგილე: - ჩემი თანამდებობრივი სპეციფიკიდან გამომდინარე, მე კარგად ვიცნობ თქვენი სპორტის ისტორიას, ვიცი ის მიღწევები, რომელიც თქვენს სპორტსმენებს აქვთ. ასეთ პირობებში კი, რასაც ახალი სასპორტო კომპლექსი გთავაზობთ, ღრმად მწამს, უახლოეს წლებში, თქვენი სპორტსმენების მიღწევები გაორმაგდება. გილოცავთ!..

ილია ბეგიაშვილი: - ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების მინისტრის მოადგილე: - რა თქმა უნდა, გილოცავთ. ძალიან მაღალი დონის სასპორტო კომპლექსია. აქვე მინდა გითხრათ, რომ ამ მიმართულებით, ეს ბოლო პროექტი არ არის, რაც ხაშურში განხორციელდება. ინფრასტრუქტურისა და რეგიონული განვითარების სამინისტრო თქვენს ქალაქში და მუნიციპალიტეტში, მერიასთან ერთად, კიდევ ბევრ პროექტს განახორციელებს, უპირველესი კი „ივერიის“ სტადიონის მშენებლობა იქნება, რომელიც უახლოეს პერიოდში დაიწყება...

თენგიზ ოსაძე, ვეტერანი ფეხბურთელი: - ჩვენი თაობა და წინა თაობებიც ოცნებობდნენ ასეთ კომპლექსზე. ასეთ პირობებში შეუძლებელია დიდი შედეგები არ მოვიდეს. მწამს, ამ კომპლექსის გახსნა, წინაპირობად იქცევა „ივერიის“ საფეხბურთო კლუბის აღორძინებისა.

ბოლო არ უჩანდა მილოცვებს. ნაცნობები თუ სრულიად უცნობებიც ერთმანეთს ულოცავდნენ ამ დღეს და იმედს გამოთქვამდნენ, რომ ეს კომპლექსი სრულიად განსხვავებულ და ახალ სილამაზეს შეიტანს ჩვენი ქალაქის ცხოვრებაში.

საზეიმო გახსნა კი თბილისის „დინამოს“ და ხაშურის ვეტერანი კალათბურთელების მატჩით დაგვირგვინდა, რომელიც მართლაც სანახაობრივი გამოდგა.

მაშ ასე! კიდევ ერთხელ ჩავინიშნოთ ეს თარიღი: 2019 წლის 11 მარტი - ხაშურის სპორტის ისტორიაში ახალი ეპოქა დაიწყო!

გ. გოგოლაძე

ხაშურის მუნიციპალიტეტის ისტორია ტოპონიმებში

(გაგრძელება. დასაწყისი იხ „ხმ“ #5,6,7)

ბიჯნისი -სოფელი, მდებარეობს ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, შედის სურამის სადაბო საკრებულოში. ხაშურიდან დაშორებულია 8 კილომეტრით, სურამიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) 5 კილომეტრით. ზ.დ. 800 მ.

ვახუშტი ბატონიშვილი იცნობს ბიჯნისს და დატანილი აქვს რუკაზე, თუმცა დაშვებული აქვს გარკვეული უზუსტობა. ბიჯნისი მას აღნიშნული აქვს სურამის წყლის მარჯვნივ, ჯაფინაურის მოპირდაპირედ. სინამდვილეში იგი მდებარეობს სურამის წყლის მარცხენა მხარეს, სოფ. ურთხვის ზემოთ.

იოანე ბატონიშვილი თავის „აღწერაში“ სურამის წყალზე აფიქსირებს ბიჯნისს, თუმცა ამ დროს (XVIII ს. 90-იანი წლები) აქ მოსახლეობა არ ჩანს.

რუისის სამწყსოს აღწერის დავთარში (1715 წ) ბიჯნისიდან დაფიქსირებულია 13 კომლი (ჯემაძე (2), პეპელაშვილი, გიგაშვილი (3), გელაშვილი, ძულიაშვილი (2), არჯევანიძე).

1728 წელს აქ 27 კომლია. ოსმალური გადასახადების ოდენობა განისაზღვრება 11720 ახჩით.

ბიჯნისი არაერთ ისტორიულ დოკუმენტში გვხვდება. 1730 წლის 21 მაისს მამუკა მურვანიშვილი გირაოში თავის ბიძაშვილს, მურვან მურვანიშვილს, აქ ორ საკომლოს აძლევს. 1744 წლის ერთი დოკუმენტის მიხედვით, პაპუაშვილი მურვან მურვანიშვილის მამულში – ბიჯნისში სახლობს.

XVIII საუკუნის მთელ მანძილზე ბიჯნისმა განიცადა ლეკთა არაერთი თავდასხმა, რის შესახებაც აქ გავრცელებულია საინტერესო თქმულებები და ლეგენდები.

1865 წელს, აქ, 4 კომლი სახელმწიფო გლეხი სახლობს, 1886 წლის აღწერით კი, 35 კომლია (142 კაცი და 103 ქალი, სულ 245 კაცი), მოსახლეობა ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით, მთლიანად ქართულია.

ბიჯნისში სახლობენ გვარები: გიგაშვილი, გოგალაძე, დალალიშვილი, ზუბაშვილი, კაპანაძე, კვინიკაძე, ლომიძე, მეტრეველი, რევაზიშვილი, ტეფნაძე, ჩადუნელი, ხაჩიძე, ჯანაშია...

ბიჯნისიც ნუნისს, ნიჩბისს თბილისს მსგავსად იწარმოება. მკვლევარ კ. ხარაძის მიხედვით, ბიჯნისი მომდინარეობს ბიჯი-დან. ბიჯი ერთი ფეხის გადადგმას ნიშნავს. ბიჯნისის შემთხვევაში, ბიჯი მრავლობითის ფორმითაა წარმოდგენილი.

ბიჯი სიგრძის საზომი ერთეული იყო ფეოდალურ საქართველოში. შეადგენდა ორ ნაბიჯს. ს.ს. ორბელიანის მიხედვით, „ბიჯი და ნაბიჯი განიყოფებიან: ნაბიჯი არს ერთის (ა) ფერხისა გარდადგმა, ხოლო ბიჯი მეორისა გარდანაცვლება, რომელიც ზომით იქნების ხუთი ტერფი“. მისი განმარტებით, ბიჯი „ფერხთა გარდადგმას“ ნიშნავს.

ბიჯნისში შემორჩენილია წმ. მარინეს, კლესიის ნანგრევები, რომელიც თარიღდება გვიანფეოდალური ხანით.

ბნელეთი - ნასოფლარი თრიალეთის ქედზე, მდ. ძამის ხეობაში, მისი ერთ-ერთი შენაკადის – ბნელეთის წყლის მარცხენა სანაპიროზე. მდებარეობს ხალების სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე.

ქართულ ისტორიულ წყაროებსა და დოკუმენტებში არ გვხვდება.

სოფელი მოიშალა XX საუკუნის 50-იან წლებში, როცა აქედან მოსახლეობა ხაშურში გადაასახლეს. აქ ცხოვრობდა დაახლოებით 7 კომლი, რომელიც ეროვნული შემადგენლობის მიხედვით მთლიანად ოსური იყო.

ბნელეთში მხოლოდ ერთი გვარი – თიბილაშვილი სახლობდა.

სახელწოდება ბნელეთი ნაწარმოებია ბნელ სიტყვისაგან –ეთ სუფიქსის საშუალებით. ბნელეთ-ი ქართული ენის განმარტებითი ლექსიკონის მიხედვით, ნიშნავს ადგილს, სადაც მუდამ სიბნელეა. ალბათ, ეს სახელი სოფელს და მდინარეს აქ არსებული გეოგრაფიული გარემოს მიხედვით შეერქვა. ბნელეთის ღელე უზარმაზარი ხეებით დაფარულ ხევში მოედინება, ისე, რომ სინათლე ნაკლებად აღწევს.

ს. ს. ორბელიანის მიხედვით ბნელეთი უმზეო ადგილს ეწოდება.

ბნელეთში მდებარეობს ხრესილის წმინდა გიორგის ეკლესია, რომელიც ადრეფეოდალური ხანით თარიღდება.

ბობოკინი - ნასოფლარი ლიხის ქედის აღმოსავლეთ კალთაზე, სოფლების – ჩორჩანასა და მურჯინისწყაროს შუაში. აქედან იღებს სათავეს ბობოკინის ღელე, რომელიც მდ. ჭერათხევს ერთვის მარცხენა მხრიდან. მდებარეობს წაღვლის სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე.

ბობოკინი დასტურდება ქუცნა ამირეჯიბის სიგელში (1401-1415). იგი, როგორც ჩანს, თემურ-ლენგის შემოსევის დროს მოიშალა. ამიტომ ქუცნა ამირეჯიბი, სხვა სოფლების მსგავსად, მასაც „ნაოხარ სოფელს“ უწოდებს და მათთან ერთად სწირავს მის მიერვე განახლებულ ულუმბის მონასტერს.

სხვა წყაროებსა და დოკუმენტებში ბობოკინი აღარ გვხვდება. მას არ იცნობენ ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები.

ბობოკინის ტერიტორიაზე შეიმჩნევა საამშენებლო კირქვისა და ღორღის ნაშთები.

სახელწოდება ნაწარმოებია –ინ სუფიქსის საშუალებით, ძირია „ბობოკ“, –ი სახელობითი ბრუნვის ნიშანია.

ბოკნევი - ნასოფლარი თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, სოფლების – მიწობისა და თხილნარას სამხრეთით. მდებარეობს ხცისის სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე.

ვახუშტი და იოანე ბატონიშვილები მას არ იცნობენ, არც სხვა საისტორიო წყაროებსა და დოკუმენტებში გვხვდება.

აქ ძირითადად ოსური მოსახლეობა სახლობდა.

შედიოდა ისტორიულ საციციანოში.

ბოკნევი –ევ ბოლოსართიანი გეოგრაფიული სახელია.

ბოსლეთი - ნასოფლარი თრიალეთის ქედის ჩრდილოეთ კალთაზე, სოფელ წრომის აღმოსავლეთით. მდებარეობს წრომის სასოფლო საკრებულოს ტერიტორიაზე.

ნასოფლარის ტერიტორიაზე ჩანს ნასახლართა ბუდეები. შემორჩენილია რიყის ქვით ნაგები შენობების საძირკვლის ფრაგმენტები. იპოვება წითლად გამომწვარი უხეშკეციანი თიხის ჭურჭლის ნამტვრევები, დიდი ზომის ქვევრის ფრაგმენტები და სხვა.

იგი დადასტურებულია არაერთ ისტორიულ წყაროსა თუ დოკუმენტში. შედიოდა ისტორიულ საციციანოში.

ერთ-ერთი პირველი დოკუმენტი, რომელშიც გვხვდება ბოსლეთი, წარმოადგენს განჩინებას ციციშვილების გაყრის საქმეზე. დოკუმენტის მიხედვით, რომელიც დათარიღებულია 1664-1673 წლებით, ციცი და ქაიხოსრო ციციშვილებს ბოსლეთში რგებიათ კოპაძე ნარიმას შვილი. „ამოიღო საუფროსოთ ციცემ და ქაიხოსრომ ბოსლეთს კოპაძე ნარიმას შვილი, დღეს რისაც მამულის მქონე იყოს“.

მეორე დოკუმენტი, რომელშიც გვხვდება ბოსლეთი, ედიშერ და პაპუნა ციციშვილების გაყრის საქმეზე შედგენილი განჩინებაა. იგი თარიღდება 1701-1703 წლებით. მასში ნათქვამია:

„ქ ერთ წილად ბოსლეთს პაატა და შოშია, ამაზე აძეს წრომს ხოლოაშვილი, რისაც მქონებელი იყოს, ერგო ედიშერს.

ქ ერთ წილად მამუკაშვილი გიორგი, რისაც მქონებელი იყოს, ერგო პაპუნას.

ქ ერთ წილად ბოსლეთს გოგინაშვილი ხოხონა და ხოსიტა, ამაზე აძეს სონღულას მამული, რისაც მამულის მქონებელი იყოს ერგო ედიშერს.

ქ ერთ წილად გოგინაშვილი სუხია და ოთარა რისაც მქონებელი იყოს, ერგო პაპუნას“.

ბოსლეთში, 1728 წელს, 14 კომლი მოსახლეა, რომელთაც ეკისრებოდათ საოსმალო გადასახადი 7050 ახჩის ოდენობით.

ვახუშტი ბატონიშვილი იცნობს სოფელ ბოსლეთს და დატანილი აქვს რუკაზე.

იოანე ბატონიშვილი ბოსლეთს არ იცნობს. უნდა ვიფიქროთ, რომ სოფელი XVIII საუკუნის 90-იანი წლებისათვის, ე.წ. ლეკიანობის შედეგად, რომელმაც ძალზე დიდი ზიანი მიაყენა ამ მხარეს, გაუკაცრიელდა და ნასოფლარად იქცა.

ადგილი, რომელიც დღეს ბოსლეთის სახელწოდებით არის ცნობილი, სახნავ-სათესად გამოიყენება.

სახელწოდება ბოსლეთი მომდინარეობს მსხვილფეხარქიანი პირუტყვის სადგომის სახელწოდებიდან – ბოსელი, (სულხან-საბა ორბელიანის განმარტებით – „სახლი საძროხე“) –ეთ სუფიქსის საშუალებით. ფუძე „ბოსელი“ შეკუმშული ფორმითაა წარმოდგენილი.

მსგავსი შინაარსის სახელები გვხვდება თერჯოლის (ბოსელა), ახალგორის (ბოსელთა), დუშეთის (ბოსელი), დმანისის (ბოსლები) რაიონებში.

ნასოფლარზე მდებარეობს წმ. მარინეს სახელობის ეკლესია, რომელიც გვიანფეოდალური ხანით თარიღდება.

ბრილი - სოფელი, მდებარეობს შიდა ქართლის ბარში, ლიხის ქედის აღმოსავლეთ მთისწინეთში, მდ. ბურნეულის (ჭერათხევის მარჯვენა შენაკადი) სათავეში. შედის ალის სასოფლო საკრებულოში. ხაშურიდან დაშორებულია 24 კილომეტრით, გომიდან (უახლოესი რკინიგზის სადგური) – 14 კილომეტრით. ზ.დ. 750 მ.

ვახუშტი ბატონიშვილი ბრილის შესახებ წერს: „ნაბახტევს ზეით ერთვის ალის-წყალს ბრილის-წყალი, დის ბრილს ერთის წყაროდამ და აბრუნებს წისქვილს. აქ, ბრილს, ითხრების კაჟი ფრიად კეთილი, მოსპეტაკო, ჩახმახისათვის“.

პროფ ალ. ღლონტი ბრილის ეტიმოლოგიას უკავშირებს ვახუშტი ბატონიშვილის ზემოთმოტანილ ცნობას იმის შესახებ, რომ „აქ, ბრილს, ითხრების კაჟი ფრიად კეთილი, მოსპეტაკო, ჩახმახისთვის“ და აღნიშნავს: ბრილის „ლექსემა მიმღეობური წარმოებისაა, ბრ შეკუმშული (რედუცირებული) ვარიანტია ბარავ ზმნის ძირეული მორფემისა ბარ–ილ-ი – ბრ–ილ-ი. სიტყვა ისევეა ნაწარმოები, როგორც შალ – შლ-ილ-ი, თალ – თლ-ილ-ი, ყარ – ყრ-ილ-ი, ხარ – ხრ-ილ-ი, რაც სავსებით ეგუება ქართლურის ფონეტიკურსა და მორფოლოგიურ სტრუქტურას. ბარვა და თხრა, ჩანს, აქ გავრცელებული პროცესი უნდა ყოფილიყო შრომისა, რადგან, როგორც ბრძანებს ვახუშტი, სწორედ ამ ადგილებში „ითხრების კაჟი“.

ბრილს განმარტებას აძლევს აგრეთვე პროფ. ზ. ჭუმბურიძე, იგი აღნიშნავს: „ბრილი ეწოდება ჩრდილოეთისაკენ მიქცეულ ფერდობს, რომელსაც მზე ნაკლებად ხვდება (მისი საპირისპიროა მზვარე, რომლისგანაც ნაწარმოებია გეოგრაფიული სახელები ზვარე, ზვარეთი, მზვარეთი)“.

დ. ყანდაშვილი მიიჩნევს, რომ სახელწოდება მომდინარეობს ბროლიდან, რადგან ბრილის სახელწოდებით ცნობილი სოფლების შემოგარენში გვხვდება კვარცის ჯგუფის მინერალები, რასაც თან ახლავს ბროლი, რაზეც ვახუშტი ბატონიშვილიც მიგვანიშნებს.

ს. ს. ორბელიანის მიხედვით, ბროლი „ბუნების თეთრი ქვაი არს“.

ამავე სახელწოდების სოფლები გვხვდება შუახევისა და ცხინვალის რაიონებში. რაჭაში არის ცნობილი ნასოფლარი.

უნდა შევნიშნოთ, რომ ბრილი მდიდარია „ბუნების თეთრი ქვებით“. ეს კარგად ჩანს ზედაპირულად. აქვეა კირქვის საბადოებიც,

ბრილი რაიონის ერთ-ერთი უძველესი სოფელია. მოპოვებული ზედაპირული არქეოლოგიური მასალა მეტყველებს, რომ აქ ადამიანი ბრინჯაოს ხანიდან ცხოვრობს, საინტერესოა ანტიკური ხანის მასალა.

ჩანს, სოფელი თავდაპირველად ღვთისმშობლის ეკლესიის გარშემო უნდა ყოფილიყო დასახლებული, სადაც შეიმჩნევა ძველი ნამოსახლარები. შემდგომ სოფელი ჩამოსულია სამხრეთით, იქ, სადაც დღეს არის გაშენებული.

ბრილი, თავდაპირველად, ამირეჯიბების მამულია., ხოლო XVII საუკუნიდან აქ დიასამიძეები მკვიდრდებიან, რაზეც მეტყველებს წმ. ნინოს ეკლესიის წარწერა.

რუისის სამწყსოს 1715 წლის აღწერის დავთარში ბრილიდან დაფიქსირებულია 43 კომლი (ადუაშვილი (3), ბიძინაშვილი (2), ხოჯიშვილი, დომელაშვილი, თორელაშვილი, ენუქაშვილი, ბერიშვილი (3), მამასახლისი, ჯობაძე, ბერეკაშვილი, ტოტაძე (3), ხატელიშვილი (4), დვალი, ტეტუნაშვილი, კროგალი, დათაშვილი, ისეაშვილი, შეგულაშვილი, ჩუბინიშვილი, მზარეულიშვილი, მამუკაშვილი, ჩიჩიძე, იმერლიშვილი, ბერუაშვილი, ჯალალყიშვილი, მკერვალიშვილი), რაც იმაზე მეტყველებს, რომ იგი საკმაოდ მჭიდროდ არის დასახლებული.

ბრილში, თბილისის ვილაიეთის დიდი დავთრის მიხედვით, 1728 წელს 61 კომლი მოსახლეა. ეს სოფელიც იმავე საოსმალო გადასახადების იხდის, რასაც სხვა სოფლები. აქ დაფიქსირებულია 6 თვალი წისქვილი, რომელზეც წლის განმალობაში 720 ახჩას იხდიან. გადასახადების საერთო ჯამი კი შეადგენს 25180 ახჩას.

XVIII საუკუნის 30-იანი წლებიდან, ბრილმა განიცადა ლეკთა თავდასხმები, რამაც ასახვა ჰპოვა აქაურ ტოპონიმიკაშიც (ლეკის გზა, ლეკის ტყე და ა. შ.)

იოანე ბატონიშვილი, ალის წყლის ხეობის აღწერისას, აფიქსირებს ბრილს, თუმცა, არ მიუთითებს სოფელი მოსახლეა თუ არა.

1865 წელს აქ 11 კომლი გლეხი სახლობს (1 სახელმწიფო და 10 დროებით ვალდებული. 1886 წლის აღწერით, ბრილში უკვე 35 კომლია (145 კაცი და 127 ქალი, სულ 272 კაცი), რომლებიც ეროვნული შემადგენლობის თვალსაზრისით მთლიანად ქართველები არიან.

1898 წელს ბრილში, გლეხ პეპო ქართველიშვილის ეზოში აღმოჩნდა ვერცხლის ჯვარი, რომელიც ქართული ხელოვნების ისტორიაში ბრილის ჯვრის სახელწოდებითაა ცნობილი. იგი ოქრომჭედელ ასათ მოქმედის მიერ არის შესრულებული და წარმოადგენს დავით კურაპალატის (975/980–1001) წინსაძღოლ ჯვარს. „მხატვრულ-ისტორიული ღირებულებით ბრილის ჯვარი, – ნათქვამია მის შესახებ, – მნიშვნელოვანი ნიმუშია ქართული ოქრომჭედლობის განვითარების იმ ეტაპისა, როდესაც თავი იჩინა ინტერესმა ფიგურის სკულპტურული გადმოცემისადმი. ამასთანავე ნაწარმოებში ჯერ კიდევ ცოცხლობს ძველი ტრადიციები: სიუჟეტის ემოციურობისა და ექსპრესიის გაძლიერების მიზნით ფიგურების ცალკეული ნაწილების ხაზგასმა. ასათ მოქმედის ჯვრის წინა პირზე გამოსახულია ჯვარცმულ ქრისტესა და წმინდანთა ფიგურები. ფონი და ზურგი მთლიანად დაფარულია გრავირებული ფოთლოვანი ორნამენტით. წინა პირის ქვედა მკლავზე დამკვეთის, ტაოს მფლობელის დავით კურაპალატის სახელია ამოკვეთილი, ზურგზე – შემსრულებლის სახელი – „ასათ მოქმედი“. ქრისტეს ტანჯვით აღბეჭდილი მეტყველი სახე, იოანეს მოკრძალებული ფიგურა და იოანესა და მარიამის სამოსლის ოსტატურად მოდელირებული ნაკეცები ოქრომჭედელის ნიჭიერებაზე მეტყველებს“.

ბრილის ჯვრით იწყებენ ქართული რენესანსის ისტორიას, რაც კიდევ ერთხელ ხაზს უსვამს მის მნიშვნელობას. ინახება საქართველოს ხელოვნების მუზეუმში.

ბრილში სახლობენ გვარები: აბულაძე, ბუთურიშვილი, გათიკაშვილი, გოგალაძე, გოგიჩაიშვილი, დევაძე, იმერლიშვილი, კილაძე, მურმანიშვილი, ნოზაძე, სამხარაძე, სვანაძე, სტეფნაძე, ქართველიშვილი, ღონღაძე, შტა

შერეკილები

ებრაელთა ერთ-ერთი ლოცვა იწყება ასე: "ღმერთო, მომეცი უნარი გავარჩიო კეთილი ბოროტისაგან..." რჩეულთა ხვედრია ასეთი უნარის მინიჭება და იგი საწინდარია ბედნიერებისა და ისეთი საზოგადოების ჩამოყალიბებისა, სადაც არ იქნება შური, ბოღმა, ღალატი, მომხვეჭელობა, შიმშილი, ჩაგვრა, ძალმომრეობა, სადაც ყველა შეიგნებს, რომ დაუდგება დრო, როცა წინ კუბო წავა, უკან კი ქონება დარჩება და მხოლოდ იმას წაიღებს იმ ქვეყანაში, რაც დაბადებისას მოიტანა ამ ქვეყანაზე, რომ ყველაფერი, საკუთარი სხეულის გარდა, რაც ჩვენად მიგვაჩნია, დროებითი სარგებლობისათვის არის ნათხოვარი ბუნებისგან და ისე შემოგვეცლება, როგორც შემოდგომაზე ხეს ფოთლები.



სამწუხაროდ, არიან ადამიანები, რომლებსაც შეუძლიათ საზოგადოებრივი ცხოვრების უკეთესობისკენ წარმართვა, მაგრამ თავის ენერგიას სხვასთან კინკლაობაში ხარჯავენ, არ შეუძლიათ სხვისი აზრის გათვალისწინება და მხოლოდ საკუთარი აზრი გონიათ ჭეშმარიტი. ასეთებს მე "შერეკილებს" ვუწოდებ.

"შერეკილები" არც ძალიან სალანძღავი სიტყვაა. ჩემი აზრით, ასეთი პიროვნებები ხან აქეთ უბერავენ და ხან – იქით, მათგან ყველაფერია მოსალოდნელი, ღალატიც და ერთგულებაც. ასეთი მერყევები საკმაოდ მრავლად არიან ჩვენში და მთავარია მათი ძალის სათავისოდ გამოყენება.

შერეკილები ხშირად მონაწილეობდნენ სახელმწიფო, სამხედრო და სხვაგვარ გადატრიალებებში ისე, რომ შეიძლება შედეგის სარგებლიანობას ვერც აცნობიერებდნენ, მათთვის სულ ერთია რა მოხდება მომავალში. მაგალითისთვის მოვიყვან 1991 წლის დეკემბერ-1992 წლის იანვრის ტრაგიკულ დღეებს, როცა კანონიერად არჩეული პრეზიდენტის, ზვიად გამსახურდიას ძალისმიერად დამხობის ოპერაციები იგეგმებოდა და ტარდებოდა ქ. თბილისში.

მიუხედავად იმისა, პრეზიდენტი და მისი გარემოცვა რუსთაველის გამზირზე, მთავრობის სახლში იმყოფებოდნენ, შერეკილებმა დაანგრიეს და გადაწვეს დედაქალაქის ცენტრალურ ნაწილში არსებული უამრავი შენობა-ნაგებობანი, მათ შორის: სამხატვრო გალერეა, სატუმრო "თბილისი", პირველი საშუალო სკოლა, კავშირგაბმულობის სამინისტრო, სახელმწიფო უშიშროების კომიტეტის შენობა, შს სამინისტროს ორივე კორპუსი, მაშინდელი კალინინის რაიონის მილიციის განყოფილება, ყოფილ ლენინის მოედანზე არსებული დაწესებულების შენობები., ყოფილი ამიერკავკასიის სამხედრო ოლქის შტაბის შენობები, მრავალი საცხოვრებელი კორპუსი და ვინ ჩამოთვლის, ირგვლივმდგარ დაზიანებულ შენობებს, მათ შორის იყო ეროვნული ბანკი და ა.შ.

ეს ყველაფერი ხდებოდა დემოკრატიის სახელით. კანონიერი პრეზიდენტის დამამხობელი და დედაქალაქის დამანგრევლები დღესაც ამაყად დააბიჯებენ საქართველოს მიწა-წყალზე.

შორს წაგვიყვანდა ამ მოვლენების პოლიტიკური და მატერიალური ზარალის შეფასება, თუმცა დღემდე არც არავის შეუფასებია, რის შედეგსაც ვიმკით. შერეკილებს ბლოკირებული ჰქონდათ მთავრობის სასახლე და ახლომახლო კვარტლები. მათ შეეძლოთ შეეწყვიტათ წყლის, ელექტროენერგიის და გაზის მიწოდება. ბუნკერში საკვები პროდუქტების და თავდაცვის საშუალებების რეზერვი ამოუწურავი ხომ არ იქნებოდა. პრეზიდენტი მაინც დაამხეს, მაგრამ ამ მეთოდების გამოყენებით, დედაქალაქის გული გადაურჩებოდა განადგურებას, თუმცა, შერეკილებს ეს არც ადარდებდათ და არც ადარდებთ.

ვინ ჩამოთვლის შერეკილთა მიერ ჩადენილ დანაშაულებებს. შერეკილებს სხვა მნიშვნელობაც აქვს, მაგალითად: ბაკში შერეკილი ცხოველები,მინდორში საძოვრად გარეკილი ნახირი,დარბაზში ან თავშესაფარში ძალით შერეკილი ხალხი. ამ სიტყვას ხმარობენ სახელმწიფო დაწესებულებებში მომუშავე არაკომპეტენტური პირების შეფასებისას, როცა იქ შეღწევისა და თანამდებობის დაკავებისათვის იყენებენ პროტექციას, მოსყიდვას, ახლობლობას, პიროვნულ ურთიერთობებს და ა.შ.

ასეთ შერეკილების მოღვაწეობის შედეგია სახელმწიფოში მრავალი მოუგვარებელი საკითხის არსებობა.

მე მინდა რამდენიმე საკითხს შევეხო, რომლებშიც აშკარად ჩანს შერეკილთა შემოქმედების კვალი.

ჩემი პირადი დამოკიდებულების გამო, შერეკილთა რომელ მხარეს მიმაკუთვნებენ, ეს მკითხველისათვის მომინდვია.

მაშ ასე, დავიწყოთ სოციალური საკითხებით:

• დღეისათვის მოქმედი წესით თანატოლ პენსიას იღებს უსტაჟო, 10 და 50 წლის შრომითი სტაჟის მქონე მოქალაქენი, აკადემიკოსი და ნებისმიერი დარგის უმდაბლესი რანგის თანამშრომელი.

კითხვა: მიიღეს და დაამტკიცეს თუ არა ასეთი წესი შერეკილებმა?

• სახელმწიფო დაწესებულებებში მოღვაწე პერსონალი წელიწადში რამდენჯერმე იღებს პრემიას, ხომ შეიძლება წელიწადში ერთჯერ პენსიონერსაც მიეცეს ერთი თვის, ე.წ მე-13 პენსია?

კითხვა: ამით დაიღუპება ქვეყანა?

• სახელმწიფო ღებულობს ზომებს უმწეოთა დახმარებისათვის. ამის ერთ-ერთი დასტურია მათთვის უფასო სასადილოების გახსნა. კვებისათვის გამოიყოფა დღეში ერთი ლარი და დაახლოებით 20 თეთრი. მას უნდა დაემატოს შემდეგი სახის ხარჯები:შენობის შენახვა, დენის და გაზის გადასახადი, გათბობის ხარჯები, მზარეულის, დამლაგებლის, ბუღალტრის, სასადილოს მომმარაგებლის, დირექტორის, საჭირო ტრანსპორტის, კავშირგაბმულობის, ინვენტარის და სხვა გაუთვალისწინებელი ხარჯები. სიზუსტის პრეტენზია არ გამაჩნია, მაგრამ ერთი ბენეფიციარის შენახვა დღეში ალბათ ორი ლარი ჯდება. კითხვა: იმის გათვალისწინებით, რომ ბენეფიციარები თავისი ფეხით დადიან სასადილოებში, ხომ არ აჯობებდა, მათთვის ხელზე მიეცათ დღეში ორი ლარი და ლუფხის ნაცვლად, ისინი ხანდახან ხილსაც შეჭამდნენ.

• სადღეგრძელოებით ერი არ გამრავლდება, დემოგრაფიული მდგომარეობის გამოსწორების მიზნით, მიზანშეწონილი იქნება:

• ყოველი ხუთი და მეტშვილიანი ოჯახი სახელმწიფომ უზრუნველყოს ქალაქში საცხოვრებელი ბინით, სოფლელებს კი შეუძინონ საცხოვრებელი ფართი.

• ყოველ ახალდაქორწინებულ წყვილს, რომლებიც პირველად ქმნიან ოჯახს, სახელმწიფომ გამოუყოს ქალაქში ერთოთახიანი ბინა 20 წლის განმავლობაში მისი საფასურის გადახდის გარანტიით, სოფელში მაცხოვრებლებს უფასოდ გამოუყოს სახლის ასაშენებლად საჭირო სამშენებლო მასალა, ხოლო თუ ასეთს არ საჭიროებს, დადგინდეს და გადაეცეს წახალისების სახით, თანხის გარკვეული რაოდენობა.

• ქადაგებენ, რომ დედაქალაქიდან მამა-პაპეულ სოფლებში დაბრუნდეს მოსახლეობა.

კითხვა:

ა) რამდენი ოჯახი უნდა დაბრუნდეს უკაცრიელ სოფელში, რომ აშენდეს და დაკომპლექტდეს სკოლა, სპორტული ნაგებობები, სამედიცინო პუნქტი, კულტურული დაწესებულებები, გაიყვანონ გზა, ელექტროენერგია, გაზი, წყალმომარაგება და ა.შ.

ბ) სოფლებიდან ხომ ძირითადად ქართველი მოსახლეობაა წასული, მათი უკან დაბრუნების შემთხვევაში, ვის დავუტოვოთ დედაქალაქი, მიგრანტებს და უცხო თესლის ხალხს?

* თურმე არის შემთხვევები, როცა სოციალურად დაუცველი ოჯახის წევრის გარდაცვალებისას, ოჯახს უხსნიან დახმარებას.

კითხვა: ასეთი ნაბიჯით, ოჯახს ხომ უფრო უმძიმებენ მდგომარეობას. ხომ არ აჯობებდა, ჭირისუფლისთვის აღმოეჩინათ მატერიალური დახმარება და მიცვალებულის დაკრძალვა მომხდარიყო სახელმწიფოს ხარჯზე.

* სახელმწიფოში ბევრი რამაა დასარეგულირებელი. ქვეყანაში ყველაფერი თითქოს ხმათა უმრავლესობით წყდება, რასაც მე არ ვეთანხმები, რადგანაც მიმაჩნია, რომ საკითხი პროფესიონალებმა უნდა გადაწყვიტონ და არა საქმეში ჩაუხედავმა უმრავლესობამ-მომღერალს მშენებელი არ უნდა აფასებდეს და პირიქით.

კითხვა: საკითხი, რომელიც ათმა აკადემიკოსმა შეიმუშავა, კენჭისყრა-

ზე რომ გაიტანონ, ჩავარდება თუ არა იმ პროექტთან შეჯიბრში, რომელიც შეიმუშავა ასმა არაპროფესიონალმა? კონკურსში ასი ხმიდან 90 ხმით გაიმარჯვებს არაპროფესიონალთა ვარიანტი. ესეც შენი უმრავლესობა. უნდა გაიმარჯვოს უკეთესმა და არა უმრავლესობამ.

* რომელ წესრიგზე გინდა ილაპარაკო იმ ქვეყანაში, სადაც გავლენიანი უმრავლესობა წყვეტს, რომ არ დაისაჯონ დამნაშავენი?

კითხვა: დამნაშავეთა დაუსჯელობა საფუძველს უმაგრებს თუ ურყევს საზოგადოების სამართლებრივ განვითარებას?

* ხმათა დათვლა-გადმოთვლამ და გადატან-გადმოტანამ გადაგვყარა იმ უბედურებას, რაც მოგვიტანა რუსეთთან ომმა. მხოლოდ შერეკილებს შეიძლებოდა მოსვლოდა აზრად იმ ქვეყანასთან საომარი დაპირისპირება, რომელსაც ჰყავს 800 000 ჯარისკაცი, აქვს 3 800 თვითმფრინავი და ვერტმფრენი, 20 000 ტანკი და ჯავშანმანქანა, 352 სამხედრო საზღვაო

(დასასრული V გვერდზე)

შერეკილები

(დასასრული)

ხომალდი, ოფიციალურად 45 მილიარდი აშშ დოლარიანი სამხედრო ბიუჯეტი. არავინ იცის, რამდენი ატომური ბომბი და ქობინაა მის არსენალში, ეს მაშინ, როცა საქართველოს შეიარაღებულ ძალებში დამლაგებლიდან მინისტრამდე ირიცხება 20 000 კაცი, მათგან ნახევარი საზღვარგარეთაა, ნახევარი კი კაბინეტში ზის.

კითხვა: ა) ასეთი სამხედრო ძალის მქონე ქვეყანას, უნდა ელაპარაკო თუ სხვისი იმედით უნდა უჩიჩხინო? პეტრეს მოსვლამდე რომ პავლეს ტყავი გააძრეს, ხომ არავის ავიწყდება? ანდა, მოვა კი პეტრე და შენი გულისათვის შეეჭიდება ურჩხულს? ქაღალდზე დაწერილი აღშფოთება-შეშფოთების სიტყვები გვიშველის?

ბ) აგვისტოს ომში რომ რუსეთს მოენდომებინა და თბილისის ასაღებად დაძრულიყო, რა ძალებით შეძლებდა საქართველო მის შეჩერებას? წარმოუდგენიათ თუ არა შერეკილებს, რა უბედურებას მოუტანდა ეს ნაბიჯი ქართველ ხალხს და მის სახელმწიფოებრიობას?

არ მინდა საგაზეთო წერილი დიდტანიანი გამომივიდეს, მაგრამ ისიც არ მინდა, შერეკილების თემას რამდენჯერმე დავუბრუნდე, ამიტომაც ძალიან მოკლედ მოგახსენებთ ჩემს დამოკიდებულებას სასკოლო განათლებასთან დაკავშირებითაც.

* მიუღებლად მიმაჩნია განათლების მინისტრების ხშირი ცვლა, ერთი ვერ ასწრებს რეფორმის დასრულებას და მეორე დგას უკვე რიგში რეფორმების ახალი პროექტებით, თან არაგანათლების დარგის სპეციალისტები, არამედ სანტექნიკები და ა.შ. რომლებიც ერთი-მეორეს ეჯიბრებიან ბოდმით გაუაზრებელი სიახლეების დანერგვაში.

თქვენ თვითონ შეაფასეთ განათლების მინისტრები, რომელთაგანაც ზოგი დედა ენას ებრძვის, ზოგი ქართულ ზდაპრებს, ზოგი ვაშლებს გვთავაზობს და ა.შ.

* მიუღებლად მიმაჩნია 12 კლასიანი სწავლება, ერთი ვინმე მაინც შემახსენეთ, ჩვენი საქვეყნოდ ცნობილი მეცნიერებიდან, რომელმაც 12 წელი ისწავლა სკოლაში.

* ახლა სჯა-ბაასი მიმდინარეობს იმაზე, არის თუ არა გამოცდების მოხსნა სწორი ნაბიჯი.

ჩემი აზრით, მასწავლებლებმა ძალიან კარგად იციან, რას წარმოადგენენ მისი მოსწავლეები მთელი სასწავლო წლის განმავლობაში და ამიტომაც მათთვის არ უნდა ჰქონდეს მნიშვნელობა, ვინ როგორ გასცემს პასუხს ბილეთში დასმულ კითხვას. საგამოცდო ბილეთები ხომ ისეთი ლატარიაა, როცა საუკეთესო მოსწავლეს შეიძლება შეხვდეს საკითხი, რომელიც მან საუკეთესოდ იცის, სხვა საკითხებზე კი წარმოდგენაც არ აქვს. აქედან გამომდინარე, კარგი მოსწავლე უჩვენებს ცუდ შედეგს, ცუდი კი - კარგს. ესეც შენი გამოცდები, ვისაც სწავლის გაგრძელება უნდა, მისი ცოდნის ხარისხი უმაღლეს სასწავლებელში მისაღებ გამოცდაზე გამოჩნდება, ხოლო ვისაც სწავლა არ უნდა, მისთვის სულერთია, როგორი შედეგებით დაამთავრებს თორმეტ კლასს.

* ჩემში შეძრწუნებას იწვევს სასკოლო პროგრამებში სექსოლოგიის სწავლების საკითხი. რატომ უნდა ისწავლოს პატარა ბავშვმა ის, რასაც მოწიფულობაში ბუნება თვითონ ასწავლის?

კითხვა: ა) სად სწავლობენ ცხოველები და ფრინველები გამრავლების თეორიებს?

ბ) ქვეყნისათვის რომელი უფრო სასარგებლოა, ის, რომ ბებიაჩემმა წერა-კითხვაც არ იცოდა ხეირიანად, მაგრამ 8 შვილი გაუზარდა სამშობლოს, თუ სექსოლოგიის თეორიის კურსნასწავლი გოგონა, რომელიც ერთ შვილს გაუზრდის სამშობლოს და ამით წირავს ქვეყნის მომავალს გადაშენებისათვის და უცხო თესლის მომრავლებისათვის. ასე უმზადებენ მიგრანტებს ქართულ მიწა-წყალს.

* არ შეიძლება ყველა ნოვატორულ წინადადებაზე თავის ქნევით დათანხმება. ახლა შერეკილები ალაპარაკდნენ მოსწავლეების მუზეუმებში ღამით სწავლებაზე.

კითხვა: ა) ვინ, სად და როდის დაადგინა, რომ ღამით სწავლება უფრო ეფექტიანია, ვიდრე დღე?

ბ) ვინ, სად და როდის შეისწავლა, თუ რა უარყოფით შედეგს იძლევა მოზარდებისთვის ღამის თევები?

გ) არიან თუ არა მუზეუმის თანამშრომლები მზად ღამის საათებში მუშაობისა და ანაზღაურებისთვის.

დ) ვინ, სად და როდის მოისმინა მშობელთა აზრი მათში შვილების ღამის გაკვეთილებზე სიარულის მიზანშეწონილობის შესახებ?

ე) თუ მოსწავლეები დღის განმავლობაში სასწავლო პროცესში იმყოფებიან დაახლოებით ექვსი საათის განმავლობაში, რამდენი საათი უნდა დაყონ მათ ღამე მუზეუმებში და როგორ გამოიყენონ დანარჩენი დრო?

ვ) გაითვალისწინა თუ არა ვინმემ, თუ რა სირთულეებს წააწყდებიან სოფლად მცხოვრები მოსწავლეები ღამის სკოლა-მუზეუმში მეცადინეობაზე დასწრების საქმეში ან ხომ არ ფიქრობენ შერეკილები სხვადასხვა პროგრამა შეიმუშაონ სოფლის, ქალაქის, ღელის გაღმა და ღელის გამოღმა სკოლებისათვის და შეადგინონ სხვადასხვა კითხვები, ასეთებისთვის უმაღლეს სასწავლებლებში მისაღები გამოცდებისთვის.

*კითხვა: აპირებს თუ არა განათლების სამინისტრო სასწავლო პროგრამაში შეიტანოს რელიგიის ისეთი საკითხები, რომლებიც აკეთილშობილებენ ადამიანთა ცნობიერებას?

დასკვნა:

თუ ყველა უწყებაში შერეკილები მომრავლდებიან, ქვეყანა გადაგვარდება და დაიღუპება. ეს რომ არ მოხდეს, საღი აზრის ხელმძღვანელებმა უნდა გაარჩიონ კეთილი ბოროტისაგან და გარეკონ შერეკილები გავლენიანი სფეროებიდან.

რევაზ გრიგალაშვილი

,,ბრიყვი მიუშვი ნებასა”..

სუსტი ნებისყოფის მეფეთა უმეტესობას ფავორიტები ჰყავდათ. ძირითადად, სახელმწიფოს ისინი განაგებდნენ და უარყოფითი გავლენით ღუპავდნენ მეფეებსაც და ქვეყანასაც. უამრავი მაგალითის მოყვანა შეიძლება უახლესი თუ წარსული ისტორიიდან. ინგლისის მეფე, ჩარლზ პირველი, ფავორიტმა მიიყვანა ეშაფოტამდე. საფრანგეთის მეფეს, ლუი XVI-ის ცხოვრებაში დამღუპველი როლი ითამაშა მისმა საყვარელმა მარკიზა პომპადურმა...

იშვიათად, ფავორიტად, განათლებული ადამიანებიც იყვნენ, თუნდაც რიშელიე რად ღირს?! საფრანგეთის დედოფალს მარია ანტუანეტასაც ჰყავდა ასეთი ფავორიტი: ერთგული, გულისხმიერი და ინტელექტუალური ქალბატონი – მარი- ჟანა როლანი, რომელიც დადებით როლს თამაშობდა დედოფლის ცხოვრებაში. იმდენად ერთგული იყო დედოფლის, რომ გილიოტინაზე ავიდა მასთან ერთად. აქ შესძახა მან ცნობილი სიტყვები: „ეჰ, თავისუფლებავ, რამდენი უსამართლობა ხდება შენი სახელით”. მასვე ეკუთვნის საინტერესო ნათქვამი ბრიყვების შესახებ: „არაფერი არ არის იმაზე ცუდი, საქმე გქონდეს ბრიყვთან. ერთადერთი საშუალება მისი თოკით დაბმაა. სხვა ყველა მეთოდი მის წინააღმდეგ უსარგებლოა”.

ტრაგიკული ქალბატონის ეს სიტყვები გამახსენდა ყოფილი პრეზიდენტის, საზღვარგარეთ ემიგრაციაში მყოფ ქართველებთან შეხვედრას რომ ვუცქერდი, ბელგიის ქალაქ ლიეჟიდან. გამაოცა მისმა მყვირალა ფრაზებმა: „ან – საქართველო, ან – არაფერი” თითქოს ეს ქვეყანა ლატარიაში მოეგოს. „იქით არის ტყუილი, აქეთ სიმართლე”. ამას ამბობს ტყუილების დიდოსტატი.

თანაც როგორ გვიქონავდა თავს. „საქართველო 4 ცივილიზაციის ქვეყანაა” უნდა „ვიამაყოთ დავით აღმაშენებლით”, რომ ჩვენ ვართ უზარმაზარი ტალანტების ქვეყანა”. უახლოეს კვირეებში, თურმე, სიტუაცია შეიცვლება, ჩამობრძანდებიან. ბრიყვული მოღვაწეობით უკრაინაში რომ შეირცხვინა თავი, ისევ საქართველოსკენ მობრუნდა.

ცნობილია, რომ „ადამიანთა უმეტესობას თავის გამოჩენის სურვილი აქვს”(შექსპირი) – ამას თუ დავუმატებთ იმას, რომ ზოგიერთ ბრიყვს ავადმყოფური ამბიცია აქვს (ეს ეხება, პირველ რიგში, ყოფილ პრეზიდენტს). დავინახავთ, რომ მის ბრიყვულ თავმოყვარეობას საზღვარი არ აქვს. თურმე, ის ყველასაგან გამორჩეულია და ხმამაღლა გაჰკივის „მე ყველაფერი ვიცი”-ო. წარმოგიდგენიათ სოკრატემ არაფერი იცოდა და ჩვენი კალთიდან აფრენილმა ბრიყვმა ყველაფერი იცის.

დავუშვათ, ვაპატიეთ მის მიერ დაშვებული შეცდომა, მაგრამ როგორ უნდა ვაპატიოთ კონსტიტუციაში რომ ცვლილებები შეიტანა თავის თავზე, რომ მოირგო და პრემიერობას აპირებდა? თითქოს პუტინს ებრძოდა და მის გზას დაადგა? – ანალოგიური მცდელობა სომხეთის პრეზიდენტის, ხომ სრული კრახით დამთავრდა. სომხებმა არ აპატიეს და ჩვენ, რატომ უნდა შევუნდოთ? განა იმიტომ რომ ბრიყვია?

ჩემი აზრით, ბრიყვის შეცდომები ძალიან მძიმეა და ძნელად გასათავლისწინებელი. ამიტომ არის საშიში. ბრიყვი ერთგვაროვანი და უცვლელია. არ ვითარდება არ იბრძვის. ერთი და იგივე შტამპებით ფიქრობს და აზროვნებს. ვერ ხვდება, რომ მისი შეხედულებები საშინლად მოძველდა და დაუინებით აწვება რქებით ცხოვრებას, წარსულის მეთოდებით. რას ვიზამთ, ამგვარია ჩვენი მიშკაც. ასეთია მისი ბუნება, ამაზე გაჯავრება იგივეა, რომ გაბრაზდე ქვა ძირს რატომ ვარდებაო.

მე მგონი, არ ღირს მის ბრიყვულ ქცევებზე გაჯავრება. დაე, ირბინოს ევროპაში რამდენიც უნდა. მიგრანტებიც მიხვდებიან, ვისთან აქვთ

საქმე და რადგანაც თოკით ვერ დავაბამთ - „მივუშვათ ბრიყვი ნებას და თვით შეეყრება ცნებასა”

დაბოლოს, რომში მისმა შეხვედრამ აჩვენა, რომ მის ავადმყოფურ ამბიციებს საზღვარი არ აქვს. აქვე უნდა ითქვას, რომ მისი მომხრენი, მისი მყვირალა ფრაზების მოსასმენად შეკრებილნი, ძალიან ცოტანი იყვნენ და უმეტესად ქალები (ოხ, ეს ქალები). ასეთებს კარტ-ბლანშში უნდა მივცეთ. დაე, ირბინოს, იცელქოს, უსაქციელოდ მოიქცეს(ბრიყვი-უსაქციელო-საბა) მას ხომ სხვანაირად არ შეუძლია.

კლიმენტი სუთიაშვილი.

მიულოცეს ქალთა საერთაშორისო დღე

მუნიციპალიტეტის მერიის წარმომადგენლებმა, 8 მარტი- ქალთა საერთაშორისო დღე, ხაშურის სამედიცინო ცენტრებში დასაქმებულ ქალბატონებს ტკბილეულით და ყვავილებით მიულოცეს.

მუნიციპალიტეტის მერმა- გიორგი გურასპაშვილმა ქალბატონებს ბედნიერება, წარმატება უსურვა და საზოგადოებაში ქალის როლის უდიდეს მნიშვნელობაზე ისაუბრა.

ღონისძიება მერიის განათლების, კულტურის და სპორტის სამსახურის მიერ იყო ორგანიზებული.

მუნიციპალიტეტის თანამშრომლების მხრიდან, სხვადასხვა პროფესიის ქალბატონებისთვის 8 მარტის მილოცვა, ტრადიციულ ხასიათს ატარებს და მათ წახალისებას ემსახურება.

ამჯერად კი მერიის თანამშრომლები მერაბ მათიაშვილის სახელობის ხაშურის ცენტრალური კლინიკისა და „გორიმედის“ ქსელის ხაშურის კლინიკური საავადმყოფოს სტუმრები იყვნენ.

კლასიკური მუსიკის საღამო

ხაშურის სამუსიკო სკოლის საკონცერტო დარბაზში კლასიკური მუსიკის საღამო გაიმართა.

ღონისძიებაში მონაწილეობდნენ თბილისის სიმფონიური ორკესტრი, დირიჟორ რევაზ ჯავახიშვილის ხელმძღვანელობით და ხაშურის სამუსიკო სკოლის მოსწავლეები.

საღამოს ორგანიზატორები იყვნენ ფატი სადაღაშვილი და გოდერძი გარაყანიძე.

საღამოს უძღვებოდა ხელოვნებათმცოდნე ინგა ხრიკაძე. მან კონცერტის დასასრულს მადლობა გადაუხადა ხაშურის მუნიციპალიტეტის მერიას, საპარლამენტო ბიუროს და სამუსიკო სკოლის დირექტორს ლალი რუხაძეს, ღონისძიების მხარდაჭერისა და თანადგომისთვის.

გამარჯვება მუსიკალურ ფესტივალზე

ამ დღეებში, მცხეთაში, „არტ ჯგუფის“ ორგანიზებით, გაიმართა რესპუბლიკური ფესტივალი „გაზაფხულის ყვავილები“, რომელშიც მონაწილეობდა ხაშურის მუსიკალურ-თეატრალური სტუდიის „ჯადოსნური ქალაქი“ აღსაზრდელები (ხელმძღვანელი ხათუნა ღვალაძე). ჩვენი ბავშვები მართლაც ღირსეულად წარსდგნენ მაყურებლისა და ჟიურის წინაშე და როგორც საუკეთესოებმა, მოიპოვეს უფლება მაისისა და ივნისის თვეში, სომხეთსა და აზერბაიჯანში,

კონკურს-ფესტივალში მიიღონ მონაწილეობა.

ვულოცავთ ამ ბავშვებს და მათ ხელმძღვანელს ამ წარმატებას და იმედი გვაქვს, მეზობელი ქვეყნების ფესტივალებიდანაც ასევე გამარჯვებულები დაგვიბრუნდებიან.

რკინიგზელ ქალბატონებს 8 მარტი მიულოცეს

თამამად შეიძლება ითქვას, რომ ჩვენს ქვეყანაში, უწყებრივ პროფკავშირთა შორის, რკინიგზის პროფკავშირი (თავმჯდომარე გელა გელაშვილი), ერთ-ერთი ყველაზე წარმატებული ორგანიზაციაა. რკინიგზელთა თანადგომა, როგორც მორალური, ასევე მატერიალური, მათი უპირველესი მოვალეობა და შეუქცევადი პროცესია. ამას თითოეული რკინიგზელი გრძნობს და აფასებს.

8 მარტს, ქალთა საერთაშორისო დღეს, პროფკავშირის უშუალო მონაწილეობით, საქართველოს რკინიგზაში მომუშავე თითოეულმა ქალბატონმა მიიღო მილოცვა. მათვე საჩუქრებიც გადაეცათ. ბუნებრივია, ამ პროცესს არც ხაშურის კვანძის პროფკავშირის წარმომადგენლები გამოკლებიან და მათაც საჩუქრები გადასცეს რკინიგზელ ქალბატონებს.

პროფესიული ინტერესების დაცვის გარდა, ჩვენს პროფკავშირს არასოდეს ავიწყდება მსგავსი დღესასწაულები და ყოველთვის სიურპრიზს გვიწყობენ. ასე იყო 8 მარტსაც და მადლობა მათ ამისთვის,- აღნიშნეს ქალბატონებმა.

აქცია – „ყოჩივარდები გამყოფი ხაზიდან“

ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით, ქალთა საინფორმაციო ცენტრმა გამართა აქცია „ყოჩივარდები გამყოფი ხაზიდან“. აქცია მიზნად ისახავდა საზოგადოების ყურადღების მიქცევას, ხაშურის მუნიციპალიტეტში მდებარე, საოკუპაციო ხაზიდან 100 მეტრში განლაგებულ, სოფელ ჩორჩანას მოსახლეობის, განსაკუთრებით

კი ქალების საჭიროებებზე.

აქციის დაგეგმვამდე , ქალთა საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენლები კოალიციური პროექტის „ქალები და გოგონები ძლიერი საზოგადოებისთვის“ ფარგლებში, ეწვივნენ სოფელ ჩორჩანას და ადგილობრივებს შეხვდნენ.

შეხვედრის შედეგად გაირკვა, რომ სოფლის მოსახლეობას უამრავი პრობლემა აქვს, მათ შორის წყლის, ინფრასტრუქტურის, გზის, ტრანსპორტის, მობილური კავშირისა და ამბულატორიის. მოსახლეობისთვის ტყე და მინდვრები ერთ-ერთი საარსებო წყაროა, თუმცა არც ისე დიდი ხნის წინ რუსმა ოკუპანტებმა ხეებზე ტყეში ყვითელი ნიშნულები გააკეთეს, რაც იმას ნიშნავს, რომ სავარაუდოდ მალე აქ ახალ საოკუპაციო ხაზს გაავლებენ ან მავთულხლართებს გაჭიმავენ. ამ ტერიტორიებზე ადგილობრივი ქალები ყოჩივარდებს აგროვებენ და შემდგომ 3-8 მარტს ხაშურში გასაყიდად მიაქვთ. ამისათვის ქალებს უამრავი წინააღმდეგობის გადალახვა უწევთ. ახლა კი, განვითარებული პროცესების გათვალისწინებით, ყვავილების მოგროვება მათთვის ასევე უსაფრთხოების საშიშროებას წარმოადგენს.

ქალთა საერთაშორისო დღესთან დაკავშირებით და კამპანიის „ყოჩივარდები გამყოფი ხაზიდან“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსებულია აშშ სახელმწიფო დეპარტამენტის და გაეროს ქალთა ორგანიზაციის მიერ, ქალთა საინფორმაციო ცენტრის წარმომადგენლები ჩორჩანას მოსახლეობას ადგილზე შეხვდნენ და სპეციალური საჩუქრები გადასცეს.

ა(ა)იპ ხაშურის მუნიციპალიტეტის გაზეთი „ხაშურის მოამბე“. დირექტორი გიორგი გოგალაძე,
მისამართი: ხაშური, ტაბიძის ქუჩა №2. ტელეფონი: 24 30 27.
E-mail Khashurismoambe2015@gmail.com მიმღების დასახელება: ხაზინის ერთიანი ანგარიში, საიდენტიფიკაციო კოდი 443860984, სახელმწიფო ხაზინა TRESGE22, სახაზინო კოდი: 749547499.
D-ით მონიშნული სტატია იბეჭდება დაკვეთით გაზეთი იბეჭდება თბილისში. რედაქტორი რობერტ სუხიაშვილი.